საქართველოს მთავრობის მოხსენება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

თბილისი

2019 წელი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, პირველი კვარტალის რეალური ზრდა 4.9 პროცენტია, ხოლო მეორე კვარტალში 4.5 პროცენტი. შესაბამისად, პირველი ნახევრის მონაცემებით, მშპ-ს რეალური ზრდა 4.7 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

ეკონომიკურ აქტივობაში წარმმართველი როლი ტრანსპორტს, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევას და სასტუმროებს და რესტორნებს უჭირავს. ეკონომიკის რეალური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა ტრანსპორტი - 15.5 პროცენტით, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 14.2 პროცენტით, სასტუმროები და რესტორნები - 13.6 პროცენტით, კავშირგაბმულობა - 11.6 პროცენტით, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება - 7.5 პროცენტით, ვაჭრობა 7.1 პროცენტით.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2019 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 27.0 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 10.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 31.3 ათასი ადამიანით.

ფასები

2019 წლის აგვისტოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 4.9 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 8.0%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 2.38 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 13.8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.92 პროცენტული პუნქტით აისახა; ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 4.4%-ით, რაც 0.53 პროცენტული პუნქტით აისახა; დასვენება, გართობა და კულტურა: ფასები გაიზარდა 6.2%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.36 პროცენტული პუნქტით აისახა; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 3.9%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.32 პროცენტული პუნქტით აისახა.

საგარეო სექტორი

2019 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8 126.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 0.01 პროცენტით აღემატება; აქედან ექსპორტი 2 411.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 5 714.5 მლნ. აშშ დოლარს (4.4 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-აგვისტოში 3 302.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველი ადგილი ევროკავშირს უკავია, რომლის წილი 2019 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიანი საქონელბრუნვის 25.2 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს თურქეთი 14.0 პროცენტი, რუსეთი 11.1 პროცენტი და აზერბაიჯანი 8.4 პროცენტული წილებით.

ექსპორტში 23.7 პროცენტით პირველ ადგილზე ევროკავშირია (571.1 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან რუსეთი 14.0 პროცენტით (338.7 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი 13.1 პროცენტით (315.0 მლნ აშშ

დოლარი), სომხეთი 9.0 პროცენტით (217.4 მლნ აშშ დოლარი) და უკრაინა 6.9 პროცენტით (166.0 მლნ აშშ დოლარი).

იმპორტში პირველი ადგილი ევროკავშირს უჭირავს 25.9 პროცენტით (1 479.0 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან თურქეთი 17.4 პროცენტით (993.8 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი 10.0 პროცენტით (574.2 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 9.9 პროცენტით (565.2 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი 6.4 პროცენტით (367.6 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 17.9 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 15.8 პროცენტი, ფეროშენადნობები 8.6 პროცენტი, მედიკამენტები დაფასოებული 5.7 პროცენტი და ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.5 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.3 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 7.4 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 6.6 პროცენტი, მედიკამენტები დაფასოებული 4.1 პროცენტი და ნავთობის აირები 3.5 პროცენტი.

ფულადი გზავნილები

2019 წლის იანვარ-აგვისტოში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.2 პროცენტით გაიზარდა და 959.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (81.2 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია იტალიიდან 25.4 პროცენტით და 150.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (30.6 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 15.2 პროცენტით და 119.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (15.7 მლნ აშშ დოლარით მეტი), აშშ-დან - 13.9 პროცენტით და 113.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (13.9 მლნ აშშ დოლარით მეტი). შემცირებულია რუსეთიდან 6.5 პროცენტით და 223.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (15.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლები), თურქეთიდან 29.6 პროცენტით და 43.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (18.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები).

ტურიზმი

2019 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოს 6 320.5 ათასი საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტორი ეწვია (2018 წლის 8 თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 5 895.9 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 7.2 პროცენტით აღემატება (წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 227.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.4 პროცენტით (9.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელს (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი
2019 წელი იანვარი-აგვისტო

2019 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 8 405.5 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 66.8 პროცენტს შეადგენს. გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 66.5 პროცენტია.

2019 წლის იანვარ-აგვისტოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

	2019 წლის გეგმა	2019 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება %
შემოსავლები	**12,578.0**	**8,405.5**	**66.8 %**
გადასახადები	11,280.0	7,498.8	66.5%
გრანტები	448.0	291.4	65.0 %
სხვა შემოსავლები	850.0	615.3	72.4 %

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2019 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 7 498.8 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.1 პროცენტით (690.3 მლნ ლარით) მეტია.

2018-2019 წწ იანვარ-აგვისტოს გადასახადების ფაქტიური მაჩვენებლები (მლნ ლარი)



საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 278.8 მლნ ლარი, რაც 4.6 პროცენტით (100.7 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 601.6 მლნ ლარი, რაც 18.6 პროცენტით (94.3 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 3 357.5 მლნ ლარი, რაც 14.4 პროცენტით (422.6 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 859.6 მლნ ლარი, რაც 9.4 პროცენტით (89.3 მლნ ლარით) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 50.0 მლნ ლარი, რაც 1.8 პროცენტით (0.9 მლნ ლარით) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 363.3 მლნ ლარი, რაც 9.9 პროცენტით (32.8 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა, იანვარ-აგვისტო 2016-2019წწ.

მლნ ლარი



ინფორმაცია საქართველოს 2019 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 487.7 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 6 943.1 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 66.2%.

2019 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2019 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**10,487.7**	**6,943.1**	**-3,544.6**	**66.2%**
გადასახადები	9,645.0	6,314.9	-3,330.1	65.5%
გრანტები	382.7	290.7	92.0	76.0%
სხვა შემოსავლები	460.0	337.5	-122.5	73.4%

გადასახადების 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 645.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 314.9 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 65.5%.

2019 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2019 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**9,645.0**	**6,314.9**	**-3,330.1**	**65.5 %**
საშემოსავლო გადასახადი	3,166.0	2,096.2	-1,069.8	66.2 %
მოგების გადასახადი	781.0	601.6	-179.4	77.0 %
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,036.0	2,719.6	-1,316.4	67.4 %
აქციზი	1,462.0	859.6	-602.4	58.8 %
იმპორტის გადასახადი	83.0	50.0	-33.0	60.2 %
სხვა გადასახადი	117.0	-12.1	-129.1	-10.3 %

გრანტების 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 382.7 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 290.7 მლნ ლარი (მ.შ. გათვალისწინებულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტები), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 76.0%. მათ შორის:

- *ბიუჯეტის მხარდამჭრი გრანტები 127.1 მლნ.ლარი;*
- *საინვესტიციო გრანტები 82.5*
- *სსიპ - ებიდან მიღებული გრანტები 31.4 მლნ.ლარი;*
- *მიზნობრივი გრანტები 49.8 მლნ.ლარი;*

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 460.0 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 337.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 73.4%.

სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2019 წელი გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**460.0**	**337.5**	**-122.5**	**73.4**
შემოსავლები საკუთრებიდან	**171.0**	**161.1**	**-9.9**	**94.2**
პროცენტები	85.0	69.8	-15.2	82.1
დივიდენდები	66.0	80.0	14.0	121.2
რენტა	20.0	11.3	-8.7	56.4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**94.5**	**49.0**	**-45.5**	**51.9**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	**91.9**	**47.3**	**-44.6**	**51.4**
სალიცენზიო მოსარებლები	0.7	0.1	-0.6	14.2
სანებართვო მოსარებლები	68.0	28.6	-39.4	42.0
სარეგისტრაციო მასაკრებლები	1.8	2.7	0.9	148.8
სახელმწიფო ბაჟი	18.0	14.1	-3.9	78.6
საკონსულო მოსაკრებელი	2.0	1.0	-1,0	50.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	0.4	-0.6	41.0

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2019 წელი გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.4	0.4	-0.0	88.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**2.6**	**1.8**	**-0.8**	**67.9**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.1	0.0	-0.0	14.5
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	2.5	1.7	-0.8	69.8
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		0.005	0.005	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**85.0**	**61.3**	**-23.7**	**72.1**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	**2.6**	**4.6**	**2.0**	**178.1**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**106.9**	**61.5**	**-45.4**	**57.5**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 47.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (70.0 მლნ ლარი) 68.4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 73.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (120.0 მლნ ლარი) 60.8%-ია.

ვალდებულებების ზრდის შედეგად მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 760.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 34.8%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები შეადგენს 318.1 მლნ ლარს, (წლიური გეგმის 63.6%) საგარეო წყაროებიდან მიღებული საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები 335.4 მლნ. ლარს (წლიური გეგმის 25.8%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები 106.6 მლნ. ლარს (წლიური გეგმის 27.7%).

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 8 შესრულება

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ***ასიგნებები*** განისაზღვრა 13 090.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 8 075.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 61.7%-ია. მათ შორის:

2019 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით **ხარჯების** დაზუსტებული გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრა 9 542.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 281.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 65.8%-ია.

საანგარიშო პერიოდში **ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების** მიხედვით განისაზღვრა:

- ✓ **„შრომის ანაზღაურების“** მუხლი - 944.3 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 453.6 მლნ ლარი) 65.0%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 15.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 11.7%-ს შეადგენს.

- ✓ **„საქონელი და მომსახურების"** მუხლი - 804.7 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (1 263.1 მლნ ლარი) 63.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 10.0%-ს შეადგენს.

- ✓ **„პროცენტის"** მუხლი - 414.1 მლნ ლარით (წლიური გეგმის 620.9 მლნ ლარის 66.7%-ია), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 5.1%-ს შეადგენს.

- ✓ **„სუბსიდიების"** მუხლი - 307.9 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (485.5 მლნ ლარი) 63.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.8%-ს შეადგენს.

- ✓ **„გრანტების"** მუხლი - 376.7 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (560.5 მლნ ლარი) 67.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.7%-ს შეადგენს. მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების საკასო შესრულებამ შეადგინა 229.1 მლნ.ლარი (მ.შ. 200.2 მლნ. ლარი კაპიტალური დანიშნულების გრანტები და 28.9 მიმდინარე დანიშნულების გრანტები), საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და უცხო სახემწოთა მთავრობებისათვის გადასაცემმა გრანტმა შეადგინა 20.8 მლნ.ლარი.

- ✓ **„სოციალური უზრუნველყოფის"** მუხლი - 2 589.3 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (3 863.9 მლნ ლარი) 67.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 32.1%-ს შეადგენს.

- ✓ **„სხვა ხარჯების**" მუხლი - 845.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (1 295.0 მლნ ლარი) 65.3%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების" 13.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 10.5%-ს შეადგენს. - მათ შორის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 176.6 მლნ.ლარი, ხოლო სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად 668.5 მლნ.ლარი.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის ხარჯების
სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 241.4 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1 070.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 47.8%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 367.1 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 138.8 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 37.8%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 939.1 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 584.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 62.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

მლნ ლარი

დასახელება	2019 წლის დაზუსტებული გეგმა (31.08.2019)	2019 წლის 8 თვის ფაქტი	სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი)	ფაქტი/ წლიური გეგმა
გადასახდელები	**13,090.0**	**8,075.5**	**5,014.5**	**61.7%**
ხარჯები	9,542.4	6,281.4	3,261.1	65.8%
შრომის ანაზღაურება	1,453.6	944.3	509.3	65.0%
საქონელი და მომსახურება	1,263.1	804.7	458.3	63.7%
პროცენტი	620.9	414.1	206.8	66.7%
სუბსიდიები	485.5	307.0	178.5	63.2%
გრანტები	560.5	376.7	183.7	67.2%
სოციალური უზრუნველყოფა	3,863.9	2,589.3	1,274.6	67.0%
სხვა ხარჯები	1,295.0	845.1	449.9	65.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,241.4	1,070.4	1,171.0	47.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	367.1	138.8	228.3	37.8%
ვალდებულებების კლება	939.1	584.9	354.2	62.3%



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **ფუნქციონალურ ჭრილში,** ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების** ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 926.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 465.5 მლნ ლარი) 63.2%-ია. აღნიშნული თანხიდან 229.1 მლნ ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს.

- ✓ **თავდაცვის ღონისძიებების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 519.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (856.7 მლნ ლარი) 60.7%-ია;

- ✓ **საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 803.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 220.1 მლნ ლარი) 65.9-ია%;

- ✓ **ეკონომიკური საქმიანობის ხაზით** გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 019.6 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 156.0 მლნ ლარი) 47.3%.

- ✓ **გარემოს დაცვის ხაზით** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 105.3 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 53.4 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 50.8%;

- ✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 105.7 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 53.8 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 50.9%;

- ✓ **ჯანმრთელობის დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 793.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 143.7 მლნ ლარი) 69.4-ია%;

- ✓ **საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში** დაფინანსდა 215.8 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის - 315.5 მლნ ლარის, 68.4%-ს შეადგენს;

- ✓ **განათლების ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 946.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 371.6 მლნ ლარი) 69.0-ია%;

- ✓ **სოციალური დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 2 019.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 043.6 მლნ ლარი) 66.4-ია%;

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის
დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (საკასო შესრულება)



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით **სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის** მიზნით განსაზღვრულია 1 554.0 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 996.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ **საგარეო სახელმწიფო** ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 763.7 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 202.9 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 560.8 მლნ ლარი.

- ✓ **საშინაო სახელმწიფო** ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 233.2 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 211.2 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 22.0 მლნ ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 19 416.7 მლნ ლარი, მათ შორის:

სახელმწიფო ვალი	19,416.7
სახელმწიფო საგარეო ვალი	15,870.1
სახელმწიფო საშინაო ვალი	3,546.6
მთავრობის ვალი	18,816.1
მთავრობის საგარეო ვალი	15,265.5
მთავრობის საშინაო ვალი*	3,550.5

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან **ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა** შეადგინა 229.1 მლნ ლარი. აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 7.9 მლნ ლარი, სპეციალური (მიმდინარე) ტრანსფერი – 21.0 მლნ ლარი (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის სპეციალური ტრანსფერის სახით – 6.0 მლნ ლარი), ხოლო კაპიტალური - 200.2 მლნ ლარი (მათ შორის სპეციალური - 24.7 მლნ ლარი).

2019 წლის 8 თვის განმავლობაში:

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 34 825.6 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 183 108.5 ათასი ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 3 653.8 ათასი ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 3 397.7 ათასი ლარი, მათ შორის შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 2 990.9 ათასი ლარი (ფიზიკური პირების სასარგებლოდ 1 159.5 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 1 831.4 ათასი ლარი).
- ✓ 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 409 768.0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების 2019 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2019 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2019 მდგომარეობით)	გადახდა	%
00 00	სულ ჯამი	13,090.0	8,075.5	61.7%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64.7	38.1	58.8%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	7.3	5.1	69.4%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.5	61.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	20.7	12.9	62.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16.2	10.2	63.1%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	32.0	21.8	68.2%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4.2	2.4	58.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	9.5	5.5	57.8%
09 00	საერთო სასამართლოები	77.8	44.1	56.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.1	2.7	45.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.9	0.5	62.5%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.4	59.6%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.8	0.5	59.7%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.4	60.2%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.4	64.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.4	63.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.4	61.9%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.9	0.5	63.4%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.4	63.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	136.0	91.3	67.2%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	3.8	2.1	54.8%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3.0	1.3	42.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	91.0	47.2	51.9%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	376.2	131.4	34.9%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,985.0	964.2	48.6%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	213.2	126.3	59.2%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,968.4	2,661.8	67.1%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	138.4	96.8	70.0%

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2019 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2019 მდგომარეობით)	გადახდა	%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	875.5	536.3	61.3%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	741.6	514.3	69.3%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	345.6	220.1	63.7%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,510.1	1,053.8	69.8%
33 00	საქართველოს პროკურატურა	37.4	21.5	57.6%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13.5	8.5	63.2%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.6	1.0	64.0%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6.4	3.8	60.0%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8.0	4.2	52.8%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2.2	1.2	55.4%
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	0.3	0.2	60.4%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	63.9	40.6	63.5%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	6.4	4.5	70.6%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	58.2	46.9	80.6%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2.2	1.2	53.5%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2.5	1.6	65.8%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25.1	18.1	71.9%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	4.2	2.9	70.0%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10.0	6.4	64.3%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4.1	2.6	64.3%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1.2	0.8	63.6%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5.3	3.8	70.8%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2.8	1.4	50.7%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.5	0.3	61.7%
53 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	0.5	0.1	27.9%
54 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,200.7	1,309.2	59.5%
60 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	0.0	0.3	#DIV/0!